



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კიკელიშვილი

17 იანვარი 2025 წელი

N 1/36

ეგზ.: N1

შპს „ენგურჰესის“ 2022-2023 წლების საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	7
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	10
	საკონტაქტო ინფორმაცია	22
დანართები		

ტერმინები და
შემოკლებები

კომპანია – შპს „ენგურჰესი“.

კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

საქართველოს მთავრობის დადგენილება – საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „ენგურჰესის“ 2022-2023 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

სახელმწიფო შესყიდვები**სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები**

აუდიტის პერიოდში კომპანიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვების წლიური გეგმის დადგენილ ვადებში სრულად წარდგენას და დამტკიცებას.

არასრულყოფილად ჩატარებული ბაზრის კვლევა

კომპანიის მიერ მიწოდების ბაზრის არასრულყოფილი კვლევა მიმწოდებელი კომპანიების შესახებ, არასაკმარისი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. პოტენციურ მიმწოდებელთა სეგმენტის არასწორად შერჩევის, თუ მათ მიერ არასწორად მიწოდებული ინფორმაციის გამო, საკმარისი საფუძვლის გარეშე ტენდერების გამოცხადებისას, არის რისკი, რომ არასწორად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, რაც კონკურენციის არარსებობის პირობებში, ზრდის საწარმოს სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, არ იყო შექმნილი კონკურენტული გარემო, რის გამოც მაღალი იყო არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დამთავრებული ტენდერების რაოდენობა.

არასრულყოფილად შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სატენდერო კომისიის მიერ, რიგ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები და მიმწოდებლების მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, არასრულყოფილად იყო შედგენილი, რაც მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და სანდოობის არასწორი და არაობიექტური შეფასების საფრთხეს წარმოშობს და ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს.

პრეტენდენტთა შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესის ხარვეზები
რიგ შემთხვევებში შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტებს შერჩევა-შეფასების პროცესი გარკვეული ხარვეზებით და ნაკლოვანებებით მიმდინარეობდა. პრეტენდენტების შერჩევა-შეფასებისას, სრულად არ იყო გამოკვლეული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა გარემოება და ფაქტი. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღებოდა გარემოებებისა და ფაქტების დეტალური, ამომწურავი მსჯელობისა და ანალიზის გარეშე, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან და სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე.

საწვავის ხარჯი**დასაბუთების გარეშე გამოყენებული საწვავი**

გამოვლინდა, რომ შვებულების პერიოდში განპიროვნებულ ავტომობილებზე შესაბამისი დასაბუთების გარეშე ხდებოდა საწვავის ხარჯვა, რაც წარმოადგენს არამართლზომიერ ხარჯს; ასევე სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი სპეცტექნიკით შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს წარმოშობს.

წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები**წარმომადგენლობითი ხარჯების ხარვეზები**

კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ზოგ შემთხვევაში არ არის

მითითებული ღონისძიების დასახელება ან ვერ დგინდება იმ ღონისძიებების მიზანი, რომელთა ფარგლებში გაწეულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯი, ასევე არ არის მითითებულ ღონისძიებებზე დამსწრე პირთა ვინაობა და რაოდენობა, რაც წარმოშობს ხარჯების დაუსაბუთებლად გაწევის რისკებს.

მივლინების მართვის ხარვეზები

კომპანიის კაშხლის დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყნის შიგნით მივლინებებში იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. ამგვარი მივლინებების ხარჯმა, ჯამურად – 30,465 ლარი შეადგინა. საქართველოს შრომის კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით, შრომითი ურთიერთობების მონაწილე სუბიექტი არის დამსაქმებელი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის სახით და ის იყო უფლებამოსილი, უზრუნველყო კომპანიაში დასაქმებულის მივლინება, სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად.

აქტივების მართვა

ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირების ნაკლოვანებები

კომპანიის ხელმძღვანელობას, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისის ფაქტზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ელექტრომომარაგების ქსელის მართვის ხარვეზები

კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, კომპანიის კუთვნილი ელექტრომომარაგების ქსელიდან ელექტროენერგია მიეწოდებოდა შპს „ენგური ატრაქციის“ გარკვეულ ობიექტებს, რის შედეგად არამართლზომიერად გაიზარდა კომპანიის ხარჯები.

მარაგების მართვის ხარვეზები

კომპანიაში მატერიალური ფასეულობების საწყობიდან გაცემის ოპერაციაზე შედგენილ დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული მათი გაცემის მიზნობრიობა. თანამშრომელთა სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფის დროს არ იყო შედგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც მიმღები პირები დაადასტურებდნენ მათი მიღების ფაქტს.

შტატგარეშე თანამშრომელთა მართვის ნაკლოვანებები

2022-2023 წლებში კომპანიაში არ იყო დანერგილი დასაქმებულთა ანაზღაურების პროცესის კონტროლის სათანადო მექანიზმები, რასაც ცხადყოფს ის გარემოება, რომ კომპანიაში დასაქმებულ ორ მრჩეველსა და ორ კონსულტანტთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში სათანადოდ არ იყო განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები. კომპანიამ ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები და მათზე გაცემული 14,850 ლარის პრემია/დანამატის საფუძვლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორ თანამშრომელს 2022-2023 წლებში, სხვადასხვა პერიოდში 19 დღით გადაკვეთილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ისინი არც შვებულებით სარგებლობდნენ და არც საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული პერიოდი მათ ჩეთვალათ ნამუშევრად, რაც კომპანიაში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს. ერთ თანამშრომელს, საკუთარი ინიციატივით (განცხადებით) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, შრომის კოდექსის მოთხოვნათა შეუსაბამოდ აუნაზღაურდა გამოუყენებელი შვებულების თანხა 7,500 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ორ

შრომითი

ხელშეკრულებები

მრჩეველსა და ორ კონსულტანტზე ვერ მიიღო რწმუნება ჯამში 279,913 ლარის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების მართლზომიერ ხარჯვაზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. საწვავის ხარჯების არამართლზომიერად გაწევის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებული ავტომანქანის სხვა თანამშრომლის მიერ დროებით სარგებლობის საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

რეკომენდაცია N2. სპეცტექნიკაზე გაცემული საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის რისკების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია GPS მონაცემების გონივრული ვადით შენახვა, ასევე წინასწარ იქნეს დადგენილი შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, გაიწეროს ტექნიკის მუშაობის სავარაუდო საათები და საჭირო საწვავის ოდენობა, ხოლო ფაქტობრივი მონაცემები სათანადო წესით იქნეს ასახული და დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტებში.

რეკომენდაცია N3. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელობამ შექმნას კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს, რომ გაწეულ იქნეს ისეთი ხარჯები, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული.

რეკომენდაცია N4. მარაგების ხარჯვის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ ჩამოაყალიბოს სათანადო კონტროლის მექანიზმები მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის საჭიროების დასაბუთებისა და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „ენგურჰესის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	აუდიტის საგნად განისაზღვრა შპს „ენგურჰესის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა შპს „ენგურჰესის“ მიერ 2022-2023 წელს განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები: 1) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; 2) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; 3) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; 4) საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“. 5) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N12

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

**აუდიტის
მეთოდოლოგია**

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- / აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის შესწავლა-ანალიზი;
 - / საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-ანალიზი;
 - / ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
 - / მონაცემთა ბაზების და დოკუმენტების ანალიზი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „ენგურჰესის“ 100%-იანი წილის მმართველია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანია უზრუნველყოფს საქართველოს ელექტრომომარაგების 35%-ზე მეტს.

„ენგურჰესის“ კომპლექსში შედის ჯვარის წყალსაცავი (მოცულობა – 1110 მლნ კუბ.მ), თაღვანი კაშხალი (სიმაღლე – 271.5 მ), სადაწნეო გვირაბი (დიამეტრი – 9.5 მ, სიგრძე – 15.3 კმ). საწარმოს ჯამური დადგმული სიმძლავრეა 1300 მვტ. (დადგმულია 5 აგრეგატი, თითოეულის საპროექტო სიმძლავრეა 260 მვტ.).

N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის ელექტროენერგიის რეალიზაციის შესახებ:

ცხრილი N1 (ლარში)

	2022 წელი	2023 წელი	ჯამი
შემოსავლები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, მათ შორის:	109,366,730	92,766,734	202,133,464
რეალიზაცია ქვეყნის შიგნით	29,992,206	30,371,161	60,363,367
ექსპორტი	30,129,696	21,896,944	52,026,640
აფხაზეთისთვის მიწოდებული ელენერგია.	49,244,828	40,498,629	89,743,457

აფხაზეთისთვის მიწოდებული ელენერგია

აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება¹ ენგურჰესიდან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსის მოცულობების მიხედვით. ენგურჰესი თავისი გამომუშავებიდან იკლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობას, შესაბამის საანგარიშო პერიოდში მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის პროპორციულად და აწარმოებს მის აღრიცხვას კომისიის² მიერ დადგენილი წესებით და ტარიფით.

იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე, ენგურჰესი ვალდებულია, მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდოს სისტემის კომერციულ ოპერატორს ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგია. აფხაზეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდება ხდება უსასყიდლოდ.³

N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022-2023 წლებში კომპანიის შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ:

¹ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების შესახებ“ 38-ე მუხლი.

² საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

³ 2022-2023 წლებში აფხაზეთისათვის მიწოდებულმა ელენერგიამ შეადგინა:

2022 წ. სულ - 49,244,828 ლარი, მათ შორის:

- ენგურჰესიდან - 32,604,778 ლარი;

- იმპორტი - 16,640,050 ლარი.

2023 წ. სულ - 40,498,629 ლარი, მათ შორის:

- ენგურჰესიდან - 29,561,692 ლარი;

- იმპორტი - 10,936,937 ლარი.

ცხრილი N2

თანხები მოცემულია ლარებში	2022	2023
ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	60,121,902	52,268,105
სხვა შემოსავლები	49,648,498	42,294,779
საოპერაციო ხარჯები	(50,087,126)	(50,411,477)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	(49,244,828)	(42,294,779)
საოპერაციო მოგება	10,438,445	1,856,628
ფინანსური შემოსავალი	49,049,285	0,00
ფინანსური ხარჯი	0,00	(7,271,754)
მოგება დაბეგვრამდე	59,487,730	(5,415,126)
მოგების გადასახადის ხარჯი	0,00	0,00
წლის წმინდა მოგება	59,487,730	(5,415,126)

წარმოდგენილი ინფორმაციით, 2018 წლიდან მიმდინარეობს კომპანიის რეაბილიტაციის პროცესი. პროექტის ფარგლებში გაწეული სამუშაოები ფინანსდება „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა“ (EBRD) და „ევროპის საინვესტიციო ბანკის“ (EIB) მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტით, რომლის გადაფასებაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ხდება ყოველი წლის ბოლოს. 2022 წელს ეროვნული ვალუტის(ლარი) ევროს მიმართ მნიშვნელოვნად გამყარების შედეგად, ხოლო, 2023 წელს მის საპირისპიროდ, ევროს მიმართ ლარის ინფლაციამ ასახვა ჰპოვა კომპანიის შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის უწყისებში, ფინანსური შემოსავლების/ხარჯების კომპონენტში. გარდა აღნიშნულისა, მოგება-ზარალის უწყისის მნიშვნელოვანი კომპონენტია აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება, რომელიც მისი უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე ასახულია, როგორც შემოსავლების (სხვა შემოსავლები), აგრეთვე ხარჯების ნაწილშიც (საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები).

2. აუდიტის მიგნებები

სახელმწიფო შესყიდვები

N3 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია შპს „ენგურჰესის“ მიერ 2022-2023 წლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ჩატარებული ტენდერების შესახებ:

ცხრილი N3

წელი	ელექტრონული (მათ შორის, კონსოლ.) ტენდერი		გამარტივებული და სპეც. წესით		სულ
	ხელშეკრულება	თანხა	ხელშეკრულება	თანხა	ხელშეკრულება
2022	136	8,334,456	584	2,974,898	720
2023	124	11,047,333	666	4,521,943	790
ჯამი	260	19,381,789	1250	7,496,841	1510

2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მომდევნო წლის შესყიდვების გეგმა ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარედგინოს მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე, რის შემდგომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.⁴

ფაქტობრივი გარემოება: გამოვლინდა, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბრისთვის დასარეგისტრირებელი შესყიდვების გეგმა არასრულყოფილი იყო. კერძოდ, მასში შეტანილი იყო მხოლოდ ის აუცილებელი შესყიდვები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო მომდევნო წლის I კვარტალში ან იმ დროს, როცა ცნობილი იყო კონკრეტული შესყიდვის მოცულობა. დანარჩენი შესყიდვები გეგმაში შედიოდა იმ პერიოდულობით, როცა ირკვეოდა ბიზნესგეგმის ორიენტირები და ცნობილი ხდებოდა მისაღები ფინანსური შემოსავლების მოცულობა და ვადები.

დასკვნა

კომპანიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვების წლიური გეგმის დადგენილ ვადებში სრულად წარდგენას და დამტკიცებას.

2.2 არასრულყოფილად ჩატარებული ბაზრის კვლევა

კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის შედეგები.⁵ მიწოდების ბაზრების კვლევის ამოცანას შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, ფასები, მიწოდების პირობები, მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები, შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი და შესყიდვის წარმატებულად განხორციელებისათვის სხვა საჭირო ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. ბაზრის კვლევის პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ელექტრონული ტენდერის წარმატებით ჩატარებასა და

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი.

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, მე-6 პუნქტი, „ე“ ქვეპუნქტი.

შემსყიდველი ორგანიზაციის და შესაბამისად, მოსახლეობის და მომხმარებელთა ფართო წრეების ინტერესების დაკმაყოფილებას⁶.

ფაქტობრივი გარემოებები: შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე მიწოდების ბაზრის სპეციფიკის არასათანადოდ შესწავლის შედეგად, კომპანიის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრებოდა პირობები, რომლებიც გარკვეულ ბარიერს ქმნიდა ბაზარზე ოპერირებადი მიმწოდებლებისათვის და ასეთ შემთხვევებში, ტენდერებში ფიქსირდებოდა შედარებით დაბალი კონკურენცია, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი იღებდა ან სრულდებოდა „არშემდგარი ტენდერის“ სტატუსით. ამ ტენდენციებით გამოირჩეოდა შპს „ენგურჰესის“ მიერ მიერ 2022-2023 წლებში ჩატარებული ტენდერები.

N4 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მიერ 2022-2023 წლებში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით შემდგარი ელექტრონული ტენდერების და „არშემდგარის“ სტატუსით დასრულებული ტენდერების შესახებ:

ცხრილი N4

წელი	ელექტრონული ტენდერები	არშემდგარი ტენდერები	%	ტენდერები ერთი პრეტენდენტი	%
2022	75	17	9%	44	58%
2023	54	8	15%	33	61%

საქონლის/მომსახურების ბაზრის არასათანადოდ შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფდა რელევანტური სატენდერო წინადადებისა და ფასის დადგენას. როგორც შემთხვევებში შპს „ენგურჰესის“ მიერ ბაზრის კვლევა განხორციელებულია არასრულყოფილად. კერძოდ, სრული სურათი არ იყო შექმნილი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა შერჩევის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე.

შედეგად, ფიქსირდებოდა მნიშვნელოვანი სხვაობები ცალკეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო ფასებსა და სატენდერო წინადადების ღირებულებებს შორის, კერძოდ 2022-2023 წლებში, ჯამურად – 13 შემთხვევაში,⁷ სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2,615,176 ლარით, შესყიდვის პროცედურების შედეგად პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 823,803 ლარით და შეადგინა 1,663,498 ლარი (13 შემთხვევაში ფასთა კლება შეადგენდა 24%-დან 68%-მდე).

შპს „ენგურჰესის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, ბაზრის კვლევის ეტაპზე ხორციელდებოდა თუ არა ბაზრის სტრუქტურის შესწავლა, შესასყიდი საქონლის/მომსახურების და სამუშაოს ბაზარზე არსებული პოტენციური მიმწოდებლების სპეციალიზების სფეროსა და აქტიური ნაწილის განსაზღვრა, მათი შესაძლებლობების ანალიზი-შეფასება და შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესის იდენტიფიცირება.

⁶ სახელმწიფო შესყიდვების რეგომენდაციები

⁷ NAT220028797; NAT220013460; NAT220012359; NAT220011546; NAT220002533; NAT230026807; NAT230026083; NAT230024989;

NAT230021535; NAT230018482; NAT230000008; ხოლო ტენდერებში: NAT220001235 და NAT220007889 ბაზრის კვლევის დამდასტურებელი მასალები შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

2.3 არასრულყოფილად შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შპს „ენგურჰესის“ მიერ ბაზრის არასრულყოფილი შესწავლა არ იძლევა მიმწოდებელი კომპანიების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. პოტენციურ მიმწოდებელთა სეგმენტის არასწორად შერჩევის, თუ მათ მიერ არასწორად მიწოდებული ინფორმაციის გამო, საკმარისი საფუძვლის გარეშე ტენდერების გამოცხადებისას, არის რისკი, რომ არასწორად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, რაც კონკურენციის არარსებობის პირობებში ზრდის საწარმოს სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, არ იყო უზრუნველყოფილი კონკურენტული გარემო, რის გამოც მაღალი იყო არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დამთავრებული ტენდერების რაოდენობა.

კრიტერიუმი. პრეტენდენტის ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასება გულისხმობს არა სპეციალისტების, არამედ საწარმოს ქმედითუნარიანობის შეფასებას. ტიპურ მოთხოვნას განეკუთვნება, მაგალითად, დასაბუთება მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შესახებ. როგორც წესი, მიმწოდებელი ფასდება ფინანსურად შემდეგნაირად, თუ მას გააჩნია ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები, ხოლო საწარმოს ბრუნვა იძლევა საშუალებას, შევასოთ მიმწოდებლის მიერ კონკრეტული მოცულობის პროექტის განხორციელების ზოგადი შესაძლებლობები.

მსხვილი მოცულობის პროექტის შესყიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია მიმწოდებელს მოეთხოვოს დასაბუთების წარდგენა იმის შესახებ, რომ მას, წარსულში, შესრულებული აქვს არანაკლებ ერთი ანალოგიური მოცულობის პროექტი. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია მიმწოდებლის მსხვილ პროექტებთან მუშაობის ცოდნის/გამოცდილების შეფასება. სააგენტოს რეკომენდაციით, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

ასევე, სააგენტოს რეკომენდაციით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების შეფასების მიზნით განსაზღვრული მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოს ნათლად, რათა თავი აარიდოს სადავო საკითხებს. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბუნდოვანი/ორაზროვნად მოთხოვნების განსაზღვრის შემთხვევაში, ჩნდება დამატებითი კითხვები არა მხოლოდ მაკონტროლებელი უწყებების მხრიდან, არამედ მნიშვნელოვნად მატულობს სატენდერო კომისიის ამა თუ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების რისკი, რაც საბოლოო ჯამში შემსყიდველ ორგანიზაციას უზანგრძლივებს შესყიდვის პროცედურებს.⁸

ფაქტობრივი გარემოება: შპს „ენგურჰესის“ მიერ 2022-2023 წლებში გამოცხადებულ 13 ელექტრონულ ტენდერში სახელშეკრულებო ღირებულებით – 5,461,921 ლარი,⁹ სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტთა მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგენილია არასრულყოფილად, რის გამოც პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ემსახურებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნებს. კერძოდ, შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ

⁸ შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები

⁹ NAT220013755, NAT220014697, NAT220017093, NAT220016390, NAT220013460, NAT220018719, NAT220017906, NAT220003009, NAT220026838, NAT220028112, NAT230005402, NAT230011991, NAT230012173.

პრეტენდენტთა გამოცდილების შესახებ მოითხოვებოდა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია ცხრილის სახით, რომელიც მოიცავდა პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს და შემსყიდველის დასახელებებს, ხელშეკრულების ღირებულებას და პერიოდს. უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტებისგან ასევე არ მოითხოვებოდა მათ მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (პროექტების) ჯამური ღირებულების მინიმალური ოდენობა, არც ასეთი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, კერძოდ, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან/და დამკვეთის მიერ დადასტურებული სამუშაოთა შესრულების აქტები.

ანალოგიურად, ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ მოითხოვებოდა მხოლოდ ცხრილის სახით, რაც შედგებოდა ტექნიკის დასახელების, აღწერილობის (მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი), რაოდენობის, მდგომარეობის (ახალი, ნახშირი), საკუთრების (მფლობელობა, სარგებლობა, საკუთარი, იჯარა, თხოვება) შესახებ მონაცემების მითითებით. ამ ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისად, მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შესახებ დასაბუთება არ მოითხოვებოდა.

დასკვნა

შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ რიგ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები, მიმწოდებლების მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები არასრულყოფილად იყო შედგენილი, რაც მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და სანდოობის არასწორი და არაობიექტური შეფასების საფრთხეს წარმოშობს და ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს.

2.4 პრეტენდენტთა შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: სატენდერო კომისია¹⁰ პრეტენდენტებს აფასებს მათ მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებების მიხედვით, ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის – „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს,¹¹ შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. გამარჯვებულად¹² ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, შეესაბამება სატენდერო პირობებს.

ფაქტობრივი გარემოება: კომპანიის სატენდერო კომისიის საქმიანობა ჩატარებულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესი გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა.

კომპანიის მიერ 2022 წლის 24 ივნისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი,¹³ სავარაუდო ღირებულებით – 122,055 ლარი, სამუშაო სპეცტანსაცმლის სახელმწიფო შესყიდვაზე. სატენდერო პირობებით პრეტენდენტს უნდა წარედგინა: მინიმუმ ერთი სარეკომენდაციო წერილი ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური საქონლის (სპეცტანსაცმლის) მიწოდების შესახებ. რეკომენდაციაში მითითებული

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N12 ბრძანების 25-ე მუხლი.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N12 ბრძანების 27-ე მუხლი.

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N12 ბრძანების 29-ე მუხლი.

¹³ NAT220012359.

უნდა ყოფილიყო, რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ანალოგიური სპეცტანსაცმლის მიწოდებაზე. ტენდერში გამარჯვებულმა წარადგინა სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც რეკომენდატორი¹⁴ მიუთითებს იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებშიც პრეტენდენტმა ანალოგიური სპეცტანსაცმლის მიწოდების ვალდებულებები შეასრულა კეთილსინდისიერად. თუმცა რეკომენდატორის მიერ მითითებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლითა და ანალიზით ვერ დასტურდება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შპს „ენგურჰესის“ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური საქონლის (სპეცტანსაცმლის) მიწოდების ფაქტი. კერძოდ, პრეტენდენტის მიერ რეკომენდატორისთვის მიწოდებული სპეცტანსაცმელი ტენდერით გათვალისწინებული სპეცტანსაცმლის ანალოგიურად არ შეიძლება ჩაითვალოს.¹⁵ შესაბამისად, რეკომენდაცია არ აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის მიერ აღინიშნა, რომ პრეტენდენტის წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს და მასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შეფასების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს გადაწყვეტილებებიც.

კერძოდ, DIS220006615_01(NAT) საჩივრის საფუძველზე, საბჭოს მიერ 2022 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება¹⁶ არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას და არასწორად მოხდა გამარჯვებულს გამოვლენა. საბჭოს გადაწყვეტილებით კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. იმავე მომჩივნის მიერ, ასევე გასაჩივრებულ¹⁷ იქნა ამავე ტენდერის სატენდერო კომისიის N5 ოქმი, რომლითაც მომჩივანს მიეცა დისკვალიფიკაცია. საბჭომ 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად მიიჩნია და კომისიას დაავალა დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

DIS220028797_01(NAT) საჩივარი¹⁸ დავების საბჭოს მიერ 2023 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა და მიჩნეულ იქნა, რომ სატენდერო კომისიის მიერ არასწორად მოხდა შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ დისკვალიფიკაცია და კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და შერჩევა-შეფასების სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელება.

დავების საბჭოს მიერ 2023 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით, საჩივარი¹⁹ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გადაწყდა, რომ შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიამ დეტალურად უნდა იმსჯელოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ გარემოებებზე, გამოიკვლიოს საქმისათვის

¹⁴ ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“.

¹⁵ მაგალითად, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო კომბინეზონი, ელექტროშემდღებულის შარვალ-ქურთუკი, ხალათი ქიმიური ლაბორატორიისათვის, ხალათი, საწვიმარი ლაბადა, რომელთა ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილება პრეტენდენტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციით ვერ დასტურდება.

¹⁶ NAT220006615 ტენდერის N3 ოქმი.

¹⁷ DIS220006615_02(NAT) საჩივარი.

¹⁸ NAT220028797 ტენდერის N5 ოქმი.

¹⁹

დასკვნა

2.5 დასაბუთების
გარეშე გამოყენებული
საწვავი

მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და შერჩევა-შეფასება განახორციელოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რიგ შემთხვევებში შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესი გარკვეული ხარვეზებით და ნაკლოვანებებით მიმდინარეობდა, პრეტენდენტების შერჩევა-შეფასებისას, სრულად არ იყო გამოკვლეული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა გარემოება და ფაქტი, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღებოდა გარემოებებისა და ფაქტების დეტალური, ამომწურავი მსჯელობისა და ანალიზის გარეშე, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან და სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე.

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილება²⁰ არეგულირებს სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის მოთხოვნებს, ხოლო კომპანია, როგორც 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, ავტოპარკის მართვის დროს ვალდებულია ხელმძღვანელობდეს აღნიშნული დადგენილებით. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით, კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.²¹

ფაქტობრივი გარემოება:

- 1) განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამდებობის პირების შვებულებაში ყოფნის პერიოდში, ხშირ შემთხვევებში ავტომანქანა არ იყო გაჩერებული და არც დოკუმენტურად დასაბუთებული საფუძვლით გადაცემული სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში დაწესებულების სხვა თანამშრომელზე.²² 2022-2023 წლებში შვებულებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებულ ავტომანქანებში ჩასხმულია 9,663 ლარის ღირებულების 3,703 ლიტრი საწვავი, რაც წარმოადგენს არამართლობიერ ხარჯს.
- 2) 2022 წლის ნოემბერიდან 2023 წლის მარტამდე პერიოდში ფიქსირდება საწვავის ჩასხმის ფაქტები იმ ავტოსატრანსპორტო²³ საშუალებაში (ავტობუსი), რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული იყო შპს „ენგური ატრაქციაზე“. კომპანიის განმარტებით, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე დიდთოვლობის დროს ავტობუსი გამოიყენებოდა თაღვანი კაშხლის ადმინისტრაციის თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის²⁴. ამ პერიოდში სულ გახარჯულია 2,359 ლარის 840 ლიტრი საწვავი.
- 3) 2022-2023 წლებში კომპანიის ბალანსზე რიცხული ხუთი²⁵ დასახელების სპეცტექნიკაზე გახარჯულია 58,838 ლარის 21,299 ლიტრი საწვავი, რაც კომპანიის განმარტებით ხარჯებში ჩამოწერილი იყო GPS მოწყობილობის საფუძველზე დაფიქსირებული ნამუშევარი ძრავ/საათების მიხედვით,

²⁰ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის N157 და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“.

²¹ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

²² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის N157 და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

²³ პაზ-32-06-110

²⁴ კომპანიის წერილობითი განმარტება.

²⁵ ესკავატორ-დამტვირთველი JSB3CX; ბულდოზერი T -130; ესკავატორ-დამტვირთველი MST; დამპერი 1 და დამპერი 2.

თუმცა აღნიშნული მონაცემები ვერ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელს GPS მონაცემების შენახვა ევალებოდა არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვისა,²⁶ ხოლო კომპანია აღნიშნულ მონაცემებს არ ინახავდა. გარდა აღნიშნულისა, კომპანიაში არ ხდებოდა სპეცტექნიკით შესრულებული სამუშაოების სათანადო დოკუმენტური დადასტურება,²⁷ შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება გახარჯული საწვავის მიზნობრიობის შესახებ.

დასკვნა

გამოვლინდა, რომ შვებულების პერიოდში განპიროვნებულ ავტომობილებზე შესაბამისი დასაბუთების გარეშე ხდებოდა საწვავის ხარჯვა, რაც წარმოადგენს არამართლზომიერ ხარჯს; ასევე სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სპეცტექნიკაზე გახარჯული საწვავით სამუშაოების შესრულებას, რაც საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N1

საწვავის ხარჯების არამართლზომიერად გაწევის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებული ავტომანქანის სხვა თანამშრომლის მიერ დროებით სარგებლობის საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

რეკომენდაცია N2

სპეცტექნიკაზე გაცემული საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის რისკების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია GPS მონაცემების გონივრული ვადით შენახვა, ასევე წინასწარ იქნეს დადგენილი შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, გაიწეროს ტექნიკის მუშაობის სავარაუდო საათები და საჭირო საწვავის ოდენობა, ხოლო ფაქტობრივი მონაცემები სათანადო წესით იქნეს ასახული და დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტებში.

2.6

წარმომადგენლობითი ხარჯების ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით ან კომპანიის შიდა ინსტრუქციით, კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ხარჯების გაწევის პროცედურა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენის წესი. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ყველა ღონისძიების დროს გაწეული ხარჯები დოკუმენტურად იყოს დასაბუთებული.

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში კომპანიის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯებმა 173,332 ლარი შეადგინა.

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას ზოგ შემთხვევაში, არ ხდებოდა მოხსენებითი ბარათების შედგენა ღონისძიებების დასახელებისა და მასში მონაწილე პირების მითითებით, ხოლო გარკვეული სახის ხარჯები გაწეული იყო სათანადო დასაბუთების გარეშე.

დასკვნა

კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ზოგ შემთხვევაში არ არის მითითებული ღონისძიების დასახელება ან ვერ დგინდება იმ ღონისძიებების მიზანი, რომელთა ფარგლებში გაწეულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯი, ასევე არ არის მითითებულ ღონისძიებებზე დამსწრე პირთა ვინაობა და რაოდენობა, რაც წარმოშობს ხარჯების დაუსაბუთებლად გაწევის რისკებს.

2.7 მივლინების

მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მივლინება არის დამქირავებლის ბრძანებით ან/და დავალებით დაქირავებულის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე

²⁶ ხელშეკრულებები: N21-458 და N23-081.

²⁷ არ დგება შესრულებული სამუშაოს აქტები, სადაც დაფიქსირდებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობა და გახარჯული საწვავის რაოდენობა.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ.²⁸ კომპანიის წესდებით,²⁹ კომპანიის მიმდინარე ხელმძღვანელობას ახორციელებს კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში კომპანიას წარმოადგენენ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (ერთპიროვნულად) ფინანსური დირექტორი (ერთპიროვნულად). ასევე: საქართველოს შრომის კოდექსის³⁰ თანახმად, დამსაქმებლად მიიჩნევა პირი, რომელიც არის შრომითი ხელშეკრულების მხარე, შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული.

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტის უფროსი გამოსცემდა ბრძანებებს დეპარტამენტის თანამშრომლების ქვეყნის შიგნით მივლინების შესახებ, დამტკიცებული დებულების მიხედვით, დეპარტამენტი წარმოადგენს კომპანიის სტრუქტურულ ერთეულს და დეპარტამენტის უფროსის ფუნქციები არ ითვალისწინებდა დასაქმებულ თანამშრომელთა მივლინების ბრძანებების გამოცემას. აღნიშნულ პერიოდში სულ გამოცემული იყო 166 ბრძანება, რის საფუძველზეც გაწეული სამივლინებო ხარჯი შეადგენს 30,465 ლარს.

დასკვნა

კომპანიის კაშხლის დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყნის შიგნით მივლინებებში იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. საქართველოს შრომის კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით, შრომითი ურთიერთობების მონაწილე სუბიექტი არის დამსაქმებელი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის სახით და ის იყო უფლებამოსილი, უზუნველყო კომპანიაში დასაქმებულის მივლინება, სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად.

2.8 ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“³¹ შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობა (დანაკლისი და დანაკარგები) უნდა დაეწეროს დამნაშავე პირებს, ხოლო თუ მათი დადგენა ვერ ხერხდება ან მათ ამოღებაზე სასამართლომ უარი განაცხადა, საწარმოში ჩამოიწერება ფინანსურ შედეგებზე, ანუ პირველ რიგში უნდა დადგინდეს დანაკლისის და/ან დანაკარგის გამომწვევი დამნაშავე პირები, რომელთა განსაზღვრა, როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა და შესაბამისად, ასეთი ფაქტის შესახებ უნდა ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს.

ფაქტობრივი გარემოება: გამოვლინდა, რომ „ჩერნომორენერგოს“³² წარმომადგენლების მიერ 2016 წლის ოქტომბერში უნებართვოდ განხორციელდა კოდორის ხეობაში მდებარე „ომარიშარაქის“ 173,139 ლარის ღირებულების ძირითადი მოწყობილობა-დანადგარების დემონტაჟი და გადატანა სოხუმში.³³ ინფორმაცია, აღნიშნული ფაქტის შესახებ, რამდენიმეჯერ ეცნობა ენერგეტიკის სამინისტროს,³⁴ თუმცა სამართალდამცავი ორგანოებისთვის – არ უცნობებიათ.

დასკვნა

კომპანიის ხელმძღვანელობას, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისის ფაქტზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²⁹ მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები

³⁰ მე-3 მუხლი

³¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების მე-16 მუხლი.

³² აფხაზეთის თვითმმართველობის რესპუბლიკის საწარმო.

³³ ამ ფაქტის შესახებ შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობამ წერილობითი დადასტურება მიიღო „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელობისაგან 2017 წლის 02 მარტს.

³⁴ წერილები: N01/51, 07/02/2017 წ.; N 01/287, 18/08/2017 წ.; N 01/408, 04/12/2017 წ.; ამასთანავე, შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის N1 სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ფაქტის შესახებ ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებსაც.

2.9 ელექტრო მომარაგების ქსელის მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესები“³⁵ არეგულირებს საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდებასა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღნიშნული წესის მიზანია საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდების წესების და პირობების დადგენა, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისათვის მიწოდების უზრუნველყოფის დამატებითი გარანტიების შექმნა, საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდების პირობების განსაზღვრა და ა.შ. ამასთანავე, ამავე წესების მე-4 მუხლით, მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს ელექტროენერგია მიაწოდოს ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის მიერ დამტკიცებული მომსახურების ხარისხის წესების მოთხოვნათა დაცვით. მიწოდებად განიხილება კანონისა და ამ წესების შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდება, მიმწოდებელია ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას, მათ შორის, თავისუფალი მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ხოლო მომხმარებელია – პირი, რომელიც ამ წესების შესაბამისად ელექტროენერგიას ყიდულობს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის.

ფაქტობრივი გარემოება: გამოვლინდა, რომ 2022-2023 წლებში „ენგურჰესის“ კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ენგური ატრაქციის“ გარკვეული ობიექტებისათვის³⁶ ელექტროენერგიის მიწოდებას ახორციელებდა საქართველოს კანონმდებლობის და „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ მოთხოვნათა დარღვევით, თაღვანი კაშხლის ელექტრომომარაგების ქსელიდან. ამასთანავე, შპს „ენგური ატრაქციის“ ცალკეული ობიექტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია ისახებოდა შპს „ენგურჰესის“ ხარჯებში. ვინაიდან შპს „ენგური ატრაქციის“ ობიექტების ელექტროენერგიის მომარაგება ხორციელდებოდა ელექტრომომარაგების ქსელისა და აღრიცხვის წრედების განმხილვების გარეშე, დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება დაუდგენელია.

დასკვნა

შპს „ენგური ატრაქციის“ მიერ „ენგურჰესის“ აქტივების სარგებლობის შედეგად ხდებოდა კომპანიის ხარჯების არამართლობითი ზრდა, რაც კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.³⁷

რეკომენდაცია N3

ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელობამ შექმნას კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც გამოირიცხავს, რომ გაწეულ იქნეს ისეთი ხარჯები, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული.

2.10 მარაგების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: კომპანიის რემონტების საამქრო ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს დაგეგმილი სამუშაოების შედგენა-დაზუსტებაში და სამუშაოების წარმოების გეგმა – გრაფიკის შედგენაში და ყოველ შესრულებულ სამუშაოზე გააფორმოს შესაბამისი დოკუმენტაცია.³⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით,

³⁵ დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით.

³⁶ ეს ობიექტები და მოწყობილობები ჩამოთვლილია შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობისადმი შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილის 2024 წლის 5 აგვისტოს მოხსენებით ბარათში.

³⁷ შპს „ენგურჰესი“ არ აკმაყოფილებს „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესებით“ მიმწოდებლისთვის დადგენილ პირობებს. კერძოდ, იგი არ წარმოადგენს ამ წესების მიხედვით განსაზღვრულ მიმწოდებელს და შესაბამისად, შპს „ენგური ატრაქცია“ ვერ ჩაითვლება ამ წესების მიხედვით განსაზღვრულ მომხმარებლად.

³⁸ რემონტების საამქროს დებულების მე-4 მუხლის 4.2 და 4.3 პუნქტები, დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 24 მაისის N6 საოქმო გადაწყვეტილებით.

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.³⁹

ფაქტობრივი გარემოება N1: 2022-2023 წლებში ენგურჰესის აგრეგატების სარემონტო სამუშაოების ხარჯებთან დაკავშირებით კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა სათადარიგო ნაწილებისა და სარემონტო მასალების ჩამოწერის აქტები, თანხით – 1,304,163 ლარი, თუმცა მათში არ იყო მითითებული, კონკრეტულად რომელი აგრეგატის მიმდინარე შეკეთებაზე ან გეგმიურ სარემონტო სამუშაოებზე გაიხარჯა მასალები, ხოლო წარმოდგენილ მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტებში არ ფიქსირდება აგრეგატზე გახარჯული სარემონტო მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი, დასახელება და ფასი. საგულისხმოა, რომ საწყობიდან მატერიალური ფასეულობების გაცემისას სათანადოდ არ იყო შედგენილი დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა მათი გაცემის მიზნობრივობა. იყო შემთხვევები, როდესაც სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების ჩამოწერის აქტები შედგენილი იყო სამუშაოების დასრულებიდან ხუთი თვის შემდეგ.⁴⁰ ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მარაგების ხარჯვისა და სარემონტო სამუშაოების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებებზე.

ფაქტობრივი გარემოება N2: აუდიტის პერიოდში შერჩევით შემოწმდა ხარჯებში ჩამოწერილი 48,707 ლარის სპეცტანსაცმლის და ფეხსაცმელების ჩამოწერის დოკუმენტაცია. გამოვლინდა, რომ მათი გაცემის დროს არ ხდებოდა უწყისების შედგენა მიმღები პირების ხელმოწერებით,⁴¹ რაც წარმოშობს აღნიშნული მატერიალური ფასეულობების არამიზნობრივად გაცემის რისკს.

დასკვნა

კომპანიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მარაგების ხარჯვის პროცესის სათანადო კონტროლს, რომელიც დაადასტურებდა მათი გამოყოფის საჭიროებას და ხარჯვის მიზნობრივობას. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მარაგების ხარჯვის პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებებზე.

რეკომენდაცია N4

მარაგების ხარჯვის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ ჩამოაყალიბოს სათანადო კონტროლის მექანიზმები მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის საჭიროების დასაბუთებისა და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

2.11 შტატგარეშე თანამშრომელთა მართვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით, კონტროლის ღონისძიებები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.⁴² საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას, იგი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.⁴³ ხელფასის დარიცხვის საფუძველია თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათში არსებული ცვლილებები, სამუშაო დროის აღრიცხვის უწყისი.⁴⁴

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში კომპანიაში ვადიანი ხელშეკრულებებით დასაქმებული თანამშრომლებიდან,⁴⁵ შერჩევით შემოწმდა 4 ყველაზე

³⁹ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ აგრეგატების რემონტის, მათ შორის, მე-5 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება მარაგების ჩამოწერის აქტები (02.08.2023 წ. და 15.09.2023 წ.).

⁴¹ საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურის უფროსის მოადგილის წერილობითი განმარტება.

⁴² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, „კ“ ქვეპუნქტი.

⁴³ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის“ მე-5 მუხლი.

⁴⁵ 94 თანამშრომელი, რომლებზეც 2022-2023 წლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1281077 ლარი.

მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი, დირექტორთა საბჭოს ორი მრჩეველი და ორი კონსულტანტი. 2022-2023 წლებში მათზე გაწეულმა შრომის ანაზღაურების ხარჯმა 279,913 ლარი შეადგინა, მათ შორის, 14,850 ლარი, პრემია/დანამატის სახით. გამოვლინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებული პირების ვალდებულებები და ფუნქციური დატვირთვა, ზოგად ხასიათს ატარებდა (მრჩეველი, კონსულტანტი). განსაზღვრული არ იყო სამუშაოს აღწერილობები და პრემია/დანამატის გაცემის საფუძვლები.

კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მათ მიერ 2022-2023 წლებში შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები.⁴⁶ სამ თანამშრომელს კუთვნილი შვებულებით არ უსარგებლიათ და არც მივლინებაში ყოფილან, ხოლო ერთ თანამშრომელთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა მივლინების ორი ბრძანება,⁴⁷ საიდანაც ერთი ბრძანების გამოცემის თარიღი არ შეესაბამება მივლინების ვადებს, ამასთანავე, ბრძანებით არ იყო განსაზღვრული მივლინების მიზანი.

ზემოაღნიშნული ოთხი თანამშრომლიდან, ორ თანამშრომელს 2022-2023 წლებში სხვადასხვა პერიოდში გადაკვეთილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, თუმცა ამ პერიოდში ისინი არ სარგებლობდნენ ანაზღაურებადი/არანაზღაურებადი შვებულებით და არც საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდნენ. მათ მიერ სამსახურში გაცდენილმა დღეებმა 19 დღე შეადგინა, ხოლო საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი ტაბელით გატარებულია, როგორც ნამუშევარი საათები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიაში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო კონტროლს და ატარებს ფორმალურ ხასიათს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ (ვერ მოვიპოვეთ) საკმარისი მტკიცებულებები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად, თუმცა 2023 წელს დასაქმებულის ინიციატივით (განცხადებით) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულზე ანაზღაურებული იქნა გამოუყენებელი შვებულება – 7,500 ლარის ოდენობით (საბოლოო ანგარიში).⁴⁸

დასკვნა

2022-2023 წლებში კომპანიაში არ იყო დანერგილი დასაქმებულთა ანაზღაურების პროცესის კონტროლის სათანადო მექანიზმები, რასაც ცხადყოფს ის გარემოება, რომ კომპანიაში დასაქმებულ ორ მრჩეველსა და ორ კონსულტანტთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, ვერ იქნა წარმოდგენილი მათ მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები და მათზე გაცემული 14,850 ლარის პრემია/დანამატის საფუძვლები.

⁴⁶ კომპანიის ხელმძღვანელობას ეთხოვა წარმოდგენა ხელშეკრულებები; შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები; 2022-2023 წლებში მუშაობის (ტაბელი) და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები (მოხსენებითი ბარათები, წერილები/მეილები, დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმები ან სხვა რაიმე აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები); რა რჩევები და კონსულტაციები გაუწიეს დირექტორთა საბჭოს და რა გაითვალისწინა დირექტორთა საბჭომ, ისარგებლეს თუ არა კუთვნილი შვებულებებით და იყვნენ თუ არა მივლინებებში. კომპანიის მიერ განიმარტა, რომ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ.

⁴⁷ 2022 წლის 3 აგვისტოს N 527 ბრძანება - ანაკლიაში და 2022 წლის 26 დეკემბრის N1010 ბრძანება მივლინებების შესახებ. ზუგდიდში მივლინების პერიოდი: 25.12.2022 წ. - 27.12.2022 წ.

⁴⁸ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას იგი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

ზემოაღნიშნულიდან, ორ თანამშრომელს 2022-2023 წლებში, სხვადასხვა პერიოდში 19 დღით გადაკვეთილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ისინი არც შვებულებით სარგებლობდნენ და არც საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდნენ, თუმცა აღნიშნული პერიოდი მათ ჩეთვალათ ნამუშევრად, რაც კომპანიაში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს. ერთ თანამშრომელს, საკუთარი ინიციატივით (განცხადებით) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, შრომის კოდექსის მოთხოვნათა შეუსაბამოდ აუნაზღაურდა გამოუყენებელი შვებულების თანხა 7,500 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ორ მრჩეველსა და ორ კონსულტანტზე ვერ მიიღო რწმუნება ჯამში 279,913 ლარის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების მართლზომიერ ხარჯვაზე.

აუდიტორები

ბესიკ ფერაძე
უფროსი აუდიტორი
გურამ ყავლაშვილი
წამყვანი აუდიტორი
ლაშა კანტურიშვილი
წამყვანი აუდიტორი
გიორგი მშვილდაძე
აუდიტორი

ხელმოწერა

ბ. 911 17.01.2025
გურამ ყავლაშვილი 17.01.2025
ლაშა კანტურიშვილი 17.01.2025
გიორგი მშვილდაძე 17.01.2025

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE